საქართ. შეშარც. სოც.-ფედ. საარეგ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის უთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელი
4 „ 150,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 494 ოთხშაბათი, ივნისის 13 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

## ანტანტა შვეიცარიის პირით.

საბჭოთა რუსეთის შვეიცარიაში ოფიციალი ...ორმომადგენლის ამხ. ვოროვსკის მკვლელობის გა... ამხ. ჩიჩერინმა ნოტა გაუგზავნა შვეიცარიის ...ედერალურ მთავრობას. საბჭოთა მთავრობა მოით...ოვდა გარკვეულ პასუხის მუხანათურ საქციელზე, ...ომელიც მოხდა შვეიცარიის ტერიტორიაზე.

შვეიცარიის მთავრობამ საპასუხო ნოტა გამო...გზავნა საბჭოთა ფედერაციის საგარეო საქმეთა ...ინისარიატს. შვეიცარიის მთავრობა უარს აცხა...ებს საბჭოთა რუსეთის იმ ბრალდებაზე, რომ ...ვლელის, კონრადის, ხელები ბურჟუაზიულ ევრო...ს და კერძოთ-შვეიცარიის კაპიტალისტების კარ...ხით და უშუალო ზემოქმედებით მუშაობდა. კონ...ადის საქციელის მოტივი,—განაგრძობს ბურჟუა...ული რიხით ნოტა,—გამოწვეულია თვით საბჭო...ა ხელისუფლების „თავხედობით“. კონრადის ...ჯახს რუსეთში მიაყენეს საშინელი ტაეჯვა-წვალე...ბ. **საბჭოთა რუსეთმა უნდა აგოს შვეიცარიის ...ნაშე პასუხი შვეიცარიის ქვეშევრდომ მრავალ ...ქალაქეების „შეწუხებისათვის“ საბჭოთა ფედე...აციის მიწა-წყალზე.**

ხაზ გასმულ წინადადება არ არის მარტო ...ვეიცარიის ბურჟუაზიის „ბაგეთაგან“ წამოსროლი...ი მარგალიტები. ის მთელი ანტანტის გულის ...ქვილია. კაპიტალისტური ევროპის საზოგადო...ებრივი აზრი გარკვეულად აყენებს საბჭოთა ხელი...უფლების წინააღმდეგ მზგავს არგუმენტს. არა მარ...ო შვეიცარიის მოქალაქე კაპიტალისტები დაზი...ანდნენ რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში. მთე...ი კაპიტალისტური ანტანტის „მოღვაწე“ მრეწვე...ლები რუსეთში განიავდნენ ეკონომიურ-ფინანსიუ...ად. პროლეტარულ რევოლიუციამ გამოაცალა ხე...�დან ბატონობის პოლიტიკური და ეკონომიური ...არაღები რუსეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიას, მაგ...ამ აქ არ შეჩერებულა მშრომელთა კლასის სო...იალისტური ბრძოლის უნარი. „ოქტომბერმა“ ნა...ციონალიზაციის დარჯაკში გაატარა ევროპის კაპი...ალისტების დოვლათი, საწარმოო-სამრეწველო ...ორგანიზაციები და სხ. ამხ. ვოროვსკის მკვლელი ...ვეიცარიის მოქალაქე კონრადი ცნობილი კაპიტა...ისტი იყო ძველი რუსეთის სინამდვილეში. მას ...ონდა მანუფაქტურული ფაბრიკა-ქარხნები ლოძ...ი, ხარკოვსა და პეტროგრადში, „უკულტურო“, ...ონომიურად „განუვითარებელ“ რუსეთის წიაღში ...ედამ იყრიდნენ თავს დასავლეთ ევროპის სახელ...ოფოების „ფინანსიური არისტოკრატები“.

კითხვა ისმება: სოციალისტურ გარდაქმნისა...ის ბრძოლის პროცესში იქნებოდა დასაშვები და ...ანშეწონილი უცხოეთის კაპიტალისტების ავლა...ოდების დენაციონალიზაცია? უეჭველია, ამ კით...აზე დადებითი პასუხის გაცემა უდრის თვით ოქ...ტომბრის გადატრიალების ძირითად მიზნების უკუ...გდებას. მართალია, საბჭოთა რუსეთი კაპიტალის...ტურ ევროპას დაუპირისპირდებოდა პოლიტიკუ...რად, მაგრამ ეგ „დაპირისპირება“ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების საფუძვლებს მოკლე...ბული იქნებოდა. ანტანტის ბურჟუაზია ეკონომიურ მუხრუჭში მოაქცევდა საბჭოთა ხელისუფლების პო...ლიტიკურ ძლიერების მთავარ ძარღვს. რევოლიუ...ციონური საბჭოთა რესპუბლიკები ევროპის ფინან...სიურ-ეკონომიურ ბატონობის ქვეშ მოყვებოდნენ ...უსათუოდ. არ უნდა დაგვავიწყდეს: ევროპის ბურ...ჟუაზიის მთავარი მიზანი რუსეთის მშრომელ ხალხ...ზე პოლიტიკური ჰეგემონიის მოპოება კი არაა, ...არამედ რუსეთის კოლონიალ მდგომარეობაში ჩა...ყენება ეკონომიურად. ანტანტა ამ ნიადაგზე ებრ...ძვის საბჭოთა ფედერაციას. ბურჟუაზიულ ანტანტი...სათვის დიდს ღირებულებას არ წარმოადგენს რუ...სეთში პოლიტიკური ხასიათის ცვლილებები. მის...თვის ერთად ერთი იდეფიქსია აღიარებული: რუ...სეთის ბაზრად გამოყენება, ეკონომიური წვენის ...ამოწურწვნა რუსეთის წიაღიდან.

ენუის კონფერენციაზე ანტანტამ კატეგო...რიულად მოსთხოვა რუსეთის წარმომადგენლებს ...ხელის მოწერა ისეთ პირობებზე. რომლებიც ჰგუ...ლისხმობდა რუსეთის ტერიტორიაზე მომქმედ უცხ...ო ელემენტების სამრეწველო ორგანიზაციების, ...ფაბრიკა-ქარხნების დენაციონალიზაციას, ყოფილ ...მეპატრონეთა ხელში გადასვლას. ენუის კონფე...რენციაზე მძლავრი აღმოჩნდა საბჭოთა რესპუბლი...კების მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური ...დიპლომატიის ურყევი გადაწყვეტილება. ჰაგის ...თათბირზე განაგრძეს ამ მიმართულებით საქმიანო...ბა. ვერც იქ მიაღწიეს მიზანს. კერზონის ნოტის ...ლეიტ-მოტივი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ...საბჭოთა ხელისუფლებამ ხელუხლებლად უნდა და...ტოვოს ინგლისის კაპიტალისტების მიერ „კეთილ...სინდისიერად“ შეძენილი ქონება რუსეთის ფარგ...ლებში. ინგლისის იმპერიალისტური მთავრობა ამას ...არ ამჟღავნებს აშკარად. საბჭოთა ფედერაციის ...მშრომელთა კლასისათვის აშკარაა დაფარულ საი...დუმლოების შინაარსი.

შვეიცარიის ფედერალური მთავრობა პასუხს ...ითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან. მას სურს თავის ...ქვეშევრდომთა უფლების დაცვა მუშათა სახელმწი...ფოში. აშკარაა, ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო შვე...იცარიის „რესპუბლიკასთან“, არამედ მთელ ანტან...ტის შავ ზრახვებთან. ანტანტის ბურჟუაზია შვეი...ცარიის პირით გველაპარაკება. საბჭოთა ფედერა...ციის მუშები და გლეხები ღირსეულ პასუხს გას...ცემს პრეტენდენტებს.

## ...ტრიბუნის

„ტრიბუნის“ კვირის ნომერში (№ 492) ჩვენ ...ეხეთ შტატების შემცირების საკითხს. ხაზი გაუ...ეთ იმ გარემოებას, რომ დაწესებულებათა ნა...ციონალიზაციის გატარებისათვის საჭიროა სახელმ...წიფო დაწესებულებაში მუშაობა ისეთ მოსამსახუ...რეებისა, რომლებმაც იციან სახელმწიფო ენა და ...ცნობენ ადგილობრივ ხალხის ზნე-ჩვეულებას.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ენის მცოდ...ნენი უნდა იქმნენ დაწესებულებებში დატოვებულ...ნ, საჭიროა აგრეთვე ენერგიული მუშაობისადმი ...ანსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა. უეჭვე...ია ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში გულ...წფელი მუშაობით ადგილობრივი მკვიდრნი უფ...ო არიან დაინტერესებულნი, ვინემ სამსახურის ...ა გასამრჯელოს მიღების ან კიდევ შოვინისტური ...ხნით მიტბასნილები. ამიტომ მოსამსახურეთა ...ეცხვის შემცირების ღროს უნდა იქმნას მხედვე...ობაში მიღებული: 1) სახელმწიფო ენის მცოდნე ...ენი რესპუბლიკის მოქალაქენი და 2) ენერგიული ...ა საქმის მცოდნე, საქმით დაინტერესებული მო...ლეები.

გაზ. „მუშის“ მე-168 №-ში დაბეჭდილია ამხ. ...ბ—ს წერილი. ავტორი ეხება დაწესებულებებში ...უშაობის გაჯანსაღების საკითხს, ე. ი. იმ მეორე ...ბენტს, რომელიც ახასიათებს შტატების შემცი...ბისათვის გათვალისწინებულ მიზანშეწონილ და ...ბიან გეგმას. მოგვყავს წერილი შემოკლებით:

„დაწესებულებები რომ ზედმეტ მოსამ...სახურეებით არის გავსებული,—ეს ყველასათ...ვის ცხადია. მათი შენახვა სახელმწიფოს მე...ტად ძვირი უჯდება. ამ ზედმეტ მოსამსახუ...რეებისაგან განტვირთვას მოითხოვს არა მარ...ტო ხარჯების შემცირების, არამედ კანცე...ლიარიებში საქმის გაჯანსაღების ინტერე...სებიც.

დღეს ამ მხრივ კანცელარიებში საში...ნელი მდგომარეობაა გამეფებული. მთელი დდეები უნდა იყვე იქ ატუზული, რომ უბრა...ლო ცნობა, ან თხოვნაზე პასუხი მიიღო. ეს ხელს უშლის ხალხის ფარლო მასის დაწესე...ბულებასთან დააგლოვებას. ამ რიგად მასას და დაწესებულებებს შორის გაუვალი უფსკ...რული ითხრება, რაც ცუდ გავლენას ახდენს თვით დაწესებულების მუშაობის ნაყოფიერე...ბაზე.

რა არის მიზეზი?

უპირველეს ყოვლისა გადამეტებული „კანცელირშჩინა“,

ზოგიერთი მოხელე ერთობ გაიტაცა ამ თვისებამ და ძალიან შორს მიდის. მას დიდ ღირსებათაც მიაჩნია თუ ძვლი მოხელის ყო...ყოველი ადათ-ჩვეულება პირნათლად დაიცვა და შეასრულა.

...დროა ბოლო მოეღოს „კანცელიარო...ბით“ გატაცებას. დღეს მოსამსახურეების შე...სამცირებლათ სწარმოებს მუშაობა, მაგრამ ეს გარემოება კანცელარიებში საქმეთა მსწრაფლ მსვლელობას ვერ უშველის, თუ ხსენებულ მუ...შაობასთან ერთად, ამ მხრივ მუშაობაც არ ჩატარდა.

მაშინ მოხელე საქმის შესრულებას მოლად დააგვიანებს და მთხოვნელებს თხოვნაზე პა...სუხისათვის დღეების მაგივრად კვირაობით ალოდინებს. საჭიროა თვით სიქმის წარმოების გარდაქმნა, გაუმჯობესება, რათა იქ შესული საქმე ქაღალდებში არ დაიხრჩვეს და ყველამ დროზე მიიღოს პასუხი.

საბჭოთა ხელისუფლების მოხელეს, მო...სამსახურეს მეტი მოეთხოვება, ვიდრე მთხოვ...ნელების წინაშე „ჩინოვნიკური“ ბღვერა და და მამლაყინწობა. შტატების შემოკლების დროს ასეთი მოხელეები უეჭველად მხედვე...ლობაში უნდა იქმნეს მიღებული“.

## ...ბერლინ-ლონდონიდან

### ამსტერდამის ინტერნაციონალში ერთიანი ფრონტის შესახებ

**ბერლინი.** 5 ივნისი. პროფკავშირების ამსტე...რდამის ინტერნაციონალის სხდომაზე ირჩეოდა ...ტრანსპორტის მუშების ბერლინის ყრილობის მიერ ...ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ გამოტანილი ...ლადგენილების საკითხი. მიღებულია რეზოლიუცია, ...რომელიც აღნიშნავს, რომ როგორც ბერლინის კო...ნფერენცია, ისე მის მიერ მანიფესტის გამოკვეყნე...ბა მოხდა პროფკავშირების ამსტერდამის გაერთია...ნების ბიუროს გაუფრთხილებლად და ამიტომ ის პასუხს არ აგებს მათ გამო. რეზოლიუციაში ნათ...ქვამია, რომ ამსტერდამის ბიუროსათვის არ არის სავალდებულო არც ერთი დადგენილება, რომელიც მის საერთო პოლიტიკურ ხაზს არ ეთანხმება. რეზოლიუციაში ნათქვამია აგრედვე, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი მზად არის გამართოს მოლაპარაკება რუსეთის პროფკავშირებთან თუ კი ისინი აღიარებენ ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესების მიერ გამოტანილ რეზოლიუციებს. დასასრულ რეზოლიუცია აცხადებს, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალს სწამს მუშათა მოძრაობის გაერთიანების და მისი შეთანხმებული გამოსვლის შესაძლებლობა კაპიტალის უღელისაგან გასანთავისუფლებლად.

## ...ახალი ამბები

— **ნათესების მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში.** კახეთში და ქართლში ნათესების მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია, განსაკუთრებ...ლივ სიმინდს და პურს კარგი პირი უჩანს.

— **საქონლის ჭირთან ბრძოლა.** აღმასკომის საბეითლო სექციის ცნობით მაისის განმავლობაში ქალაქის სხვა და სხვა უბნებში ციმბირის ჭირით ოთხფეხის საქონლის ავათ გახდომის შემთხვევა იყო 15.

— **შტატების შემცირება.** დაიწყო მუშაობა აღმასკომის დაწესებულებებში შტატების შემცი...რებელ კომისიამ. გადაწყვეტილია შემოკლდეს მო...სამსახურეთა რიცხვი 30 პროცენტით.

— **სამრეწველო გადასახადი.** სამრეწველო გადასახადისაგან მაისამდე შემოვიდა 115 მილიარ...დი მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით.

— **საბუჰალტერო კურსები.** მოქ. განდია ხსნის ქ. ტფილისში საბუჰალტერო კერძო კურ...სებს.

— **ნაძალადევის მუშები ეკლესიის წინააღმ...დეგ.** ნაძალადევის მუშებმა გამოიტანეს განაჩენი ფართო მიტინგზე ნაძალადევის ეკლესიის დახურ...ვის შესახებ და ეკლესიის მაგიერ კლუბის გახსნისა. განაჩენი გაიგზავნა სადაც ჯერ არს დასადასტუ...რებლათ.

— **ლექციები.** 13 მაისიდან 17 მაისამდე პო...ლიტეხნიკუმის სტუდენტთა კლუბში პროფკავშირის განათლების სექტორის ინიციატივით იმართება ლექციები სტუდენტებისათვის, მასწავლებლებთათ...ვის, პროფკავშირის წევრთათვის და ყველა მსურ...ველთათვის ამერიკაში მივლინებულ პეტროგრადის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის პროფესორ ლავროვი...სა: 1. მემანქანობა ამერიკაში, 2. აღზდა და განვი...თარება მუშებისა ამერიკაში, 3. შრომის ორგანიზა...ცია, 4. საორგანიზაციო აზროვნების ძირითადი პრინციპები, 5. თანამედროვე სამეცნიერო ორგანი...ზაცია შრომისა, 6. ხორბლის წარმოება ნანქანე...ბით. ლექციების დროს აჩვენებენ ბუნდოვან სურა...თებს.

— **ლექცია მარქსზე.** დღეს საღამოს 8 საა...თზე სკოლის გარეშე მუშაკის სახლში გაიმართება ლექცია: „ცხოვრება და პიროვნება კარლ მარქსი...სა“. ლექციის შემდეგ გაიმართება დისპუტი.

— **ამხ. თალაქვაძის დანიშვნა.** განათლების პოლიტიკურ მთავარ მართველობის გამგეთ დანიშ...ნულია ამხ. ი. თალაქვაძე.

— **დახმარება უმუშევართათვის.** მაისის თვის განმავლობაში დაზღვეულ უმუშევართათვის მიეცათ დახმარება 2.192,671 მან.

— **გვალვა სამეგრელოში.** სამეგრელოში ეს ორი თვეა, რაც წვიმა არ მოსულა და საშინელმა გვალვამ გაახმო ნათესი.

— **სეტყვა** მაისის თვის განმავლობაში სეტ...ყვამ სილნაღის და ბორჩალოს მაზრებში დიდი ზა...რალი მიაყენა მცხოვრებთ. ბევრ ადგილას გაფუჭ...და 80 პროცენტით ნათესი მიწა.

## ...პარტიაში

**დღეს, ივნისის 13-ს, საღ. 7 საათ. „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა.**

## ...ეკონომიური ცხოვრება

### უცხოეთი.

**გერმანიის სავაჭრო ფლოტი.** უკანასკნელი ...ცნობებით, გერმანიის სავაჭრო ფლოტი 1922 წლის ...ბოლოსათვის 1967 გემისაგან შესდგებოდა, სულ 2.175.969 ტონნა წყალ წყვით. ეს გემები შემდეგ...ნაირათ იყოფა:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | რიცხვი | ტონნებში |
| გემები | — | — | — | | 617 | — | 1.709.731 |
| მოტორიანი გემები | | | — | | 33 | — | 16.783 |
| იალქნიანი გემები | | | — | | 200 | — | 87.200 |
| იალქნიანი მანქანებით | | | — | | 18 | — | 4.844 |
| ბუქსირული ხომალდი | | | — | | 529 | — | 184.109 |
| წვრილი გემები | — | — | — | | 570 | — | 173.302 |
| სულ | — | — | — | | 1.967 | — | 2.175.569 |

— **ნახშირის გატანა ინგლისიდან.** მიმდინარე ...წლის მარტში ინგლისიდან გატანილ იქნა 7.180.102 ...ტონნა ქვანახშირი, წინააღმდეგ 1922 წლის 5.201.235 ტონნისა. ამ რიცხვიდან გერმანიაში შე...ტანილია 1.836.399 ტონნა, გასული წლის 477.718 ...ტ. წინააღმდეგ.

— **საფრანგეთის რკინის მრეწველობა.** საფ...რანგეთის რკინის მრეწველობის მდგომარეობა ჯერ ...კიდევ არა დამაკმაყოფილებელია და მხოლოდ ზო...გიერთი რკინის ქარხნები, რომელთაც საკუთარი ...კოკსი აქვთ, ახერხებენ შენაკვეთების გასტუმრებას. ...ქარხნების უდიდესი ნაწილი კი, რურის კოკსის ...უქონლობის გამო, იძულებულია გააუქმონ შენაკვე...თები. ქარხნების მდგომარეობა რამოდენიმეთ გამო...კეთდა ბელგიასთან დადებულ ხელშეკრულების გა...მო, მაგრამ უკანასკნელის მიერ მიწოდებული მასა...ლით არსებული დომენის ღუმელების მუშაობაც ...ძლივს გრძელდება. განსაკუთრებით გრძნობს რუ...რის კოკსის დანაკლიის მოზელის რაიონი.

— **ვალის გადახდის გადავადება.** საფრანგე...თის მიერ ინგლისის სესხის გასტუმრების საკითხი, ...რომელიც უნდა მომხდარიყო 1923 წელს, ინგლი...სისა და საფრანგეთის ბანკის კერძო შეთანხმების ...ძალით გადაჭრილია: მათი ამორტიზაცია გადადე...ბულია შვიდი წლით.

— **გორკის ეკონომიური განვითარება.** გორ...კის ეკონომიური განვითარება უკანასკნელს 10 წელს ...მეტად ჩქარა წავიდა წინ, როგორც ინდუსტრიული ...ზაციის მხრით (ახალი სამრეწველოების, ფაბრიკა-...ქარხნების დაარსება და სხ.) თუ სასოფლო მეურ...ნეობა კულტურათა წარმოების ზრდის მხრით ...გორეია რჩება უმთავრესად აგრარულ ქვეყნათ და ...მისი მოსახლეობის 84 პროც. (17,3 მილიონ საერთო ...რიცხვიდან) მიწადმოქმედებით ცხოვრობს, რომლი...თაც მან მეტად დიდ შედეგს მიაღწია. ბრინჯის ...კულტურის სივრცე გაიზარდა ამ 10 წლის განმავ...ლობაში 3,3-დან 3,8 მილიონ აკრამდე; ბამბის ...წარმოება გაიზარდა 75 პროცენტით, სოლის—თით...ქმის 200 პროცენტით. სამთო მრეწველობაში უმ...თავრესად სპილენძს, ქვანახშირს და რკინას იღებენ. ...აუცილებელი საბანკო კრედიტი არსებობს, სამუშაო ...ძალა უხვათაა.

— **დანია და რუმინიის სავაჭრო ხელშეკრუ...ლება.** ეს ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო 1910 წელს, როგორც ვიცით ერთი წლის წინათ ...იქმნა რუმინიისაგან დარღვეული; ამ ჟამათ დადე...

# მუშათა ცხოვრება

### ბინის საკითხის გარშემო,

ბინის საკითხი წარმოადგენს ტფილისის მცხოვრებთათვის ერთს მეტად სერიოზულ საკითხს. ამ საკითხს ამწვავებს ის გარემოება, რომ ჩვენი ქალაქი სავსეა მცხოვრებლებით, ტფილისში თავს იყრიან ყოველის მხრიდან ყოველი ჯურის ხალხი, ქალაქში კი ახალი სახლები არ შენდება და ამიტომ, სრულიად ბუნებრივად, ასეთს პირობებში ბინის კრიზისის წინაშე ვსდგებით.

მე მინდა საბინაო კანონის ერთ მეტად უხერხულ დებულებაზე მიუთითო ვისაც ჯერ არს ამ წერილით და ავღნიშნო, რომ ასეთი დებულების მეტად გამოუვალი მდგომარეობა იქნება, როგორც საბინაო განყოფილებისათვის, ისე მშრომელ ელემენტებისათვის.

საბინაო დეკრეტის ძალით განსაზღვრულ არსზე მოზომილია განსაზღვრული კვადრატიული არშინი (25-დე) ოთახისა, რომელშიაც ის იხდის დეკრედით დაწესებულ გადასახადს (კატეგორიების მიხედვით). მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც მუშას ნორმაზე მეტი უჭირავს ოთახისა, ვთქვათ 20—25 კვადრატიული არშინისა. ასეთს შემთხვევაში იგი იძულებულია გადაიხადოს სახლის პატრონის სასარგებლად ზედმეტი, მაშასადამე, უნდა მორიგების გზას დაადგეს სახლის პატრონთან. მუშა და ყოველი საბჭოთა თანამშრომელი დიდ ეკონომიურ კრიზის განიცდის და მას ყოველთვის არ შეუძლია ეს ზედმეტი ქირის გადახდა. ასეთს პირობებში იგი იძულებული ხდება მიმართოს საბინაო განყოფილებას თხოვნით: 1) ან მოუძებნოს მას ნორმის მიხედვით ოთახი, ან 2) გადაიხადოს ზედმეტი ქირა საბინაო განყოფილებამ.

მკითხველი ნუ დაივიწყებს, რომ ძველ სახლის მესაკუთრეებს არ ჰქონდათ მხედველობაში დღევანდელი დეკრეტი, და ოთახები ამ ნორმით არ არის გამოყვანილი: ზოგან მეტია და ზოგან ნაკლები. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ასეთს მდგომარეობაში ჩაყენებული არის დიდი უმეტესობა ტფილისის მშრომელი ელემენტებისა. როგორ უნდა მოიქცეს საბინაო განყოფილება? შეუდგეს მცხოვრებთა გადასახლება-გადმოსახლებას? ისე ისეთს არევ-დარევას გამოიწვევს, რომ შეუძლებელი გახდება ნორმალურ პირობების აღდგენა ათ წელიწადშიც. მისცეს მუშამ ზედმეტი ქირის ფასი? ეს უაზრობა იქნება და ამის უფლება მას არ აქვს.

როგორც მკითხველი ხედავს, საბინაო დეკრეტით მეტად უხერხული მდგომარეობა იქმნება. რაღაც ორი-სამი კვადრატიული არშინის გამო, მუშა-მოსამსახურე იძულებული ხდება, თავისი ისედაც მცირე თვიური ბიუჯეტი დაარღვიოს და იშიმშილოს.

პირადათ მე ასეთ მდგომარეობის წინაშე დავდექი. საბინაო განყოფილებამ ვერ მომცა გარკვეული პასუხი. მან მიპასუხა, უნდა იხადო: სხვა გვარი პასუხი მას არ შეეძლო მოეცა ჩემთვის, რიდგან კანონი ამას უფლებას არ აძლევს.

ვფიქრობ სათანადო ორგანომ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს არსებითი ყურადღება.

**ძველი მოსამსახურე.**

---

### მედიკო-სანიტარულ კავშირში

**საორგანიზაციო განყოფილების მოქმედება.** მაისის განმავლობაში საორგანიზაციო განყოფილებამ მოიწვია ადგილკომების თათბირი. თათბირზე დასმული იყო მუშათა სანატორია „არაზინდოს“ სასარგებ. ჩასატარებელი კამპანიის საკითხი. თათბირმა დაადგინა გადადვას სანატორიის სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასი. კამპანიამ კარგად ჩაიარა.

**წევრთა რიცხვის რაოდენობა.** ამავე თვეში საღრიცხვო განყოფილებამ მოახდინა წევრთა სრული აღრიცხვა რესპუბლიკანურ ფარგლებში. ამ ჟამად კავშირში ირიცხება 6178 წევრი მათ შორის ეროვნებების მიხედვით ქართველები 48 პროც. შეადგენენ.

**კავშირი პროვინციასთან.** მაისის განმავლობაში კავშირს პროვინციასთან მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა. წერილობითი მიმოწერას კავშირი აწარმოებდა ბათომის, ქუთაისის, ფოთის, ახალქალაქის, სიღნაღის, თელავის, დუშეთის, ახალციხის და სხვა განყოფილებებთან.

**უმუშევართა მდგომარეობა.** მაისის თვეში კავშირში უმუშევარნი ირიცხებოდნენ: ექიმები 35 და კბილის ექიმები 19.

**კავშირის პლენუმი.** 28 მაისს მოწვეული იყო კავშირის გაფართოებული პლენუმი. პლენუმზე დაესწრნენ წარმომადგენლები. რაჭის, ოზურგეთის, დუშეთის, სიღნაღის და ახალქალაქის მაზრებიდან. პლენუმმა გაარჩია საკითხეები: ცენტ. გამგეობის ანგარიშები, ჯანსახკომისო მოხსენებები, საორგანიზაციო საკითხები და სანიტგანყოფილების შესახებ.

**კავშირის თანხები.** კავშირის თანხები შესდგება მხოლოდ საწევრო გადასახადისაგან, კავშირთან არსებობს კულტურული და უმუშევართა ფონდები.

**მუშაობა ქალთა შორის.** მაისის თვეში კავშირმა მოაწყო ქალთა ორი კრება. კრებაზე წაკითხულ იქმნა მოხსენებები: ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე და მათი გათვითცნობიერების შესახებ.

**ურთიერთ დამხმარე კასსა.** ურთიერთ დამხმარე კასის მონაწილეთა რიცხვი თანდათან ძლიერდება, ჯერ-ჯერობით წევრთა რიცხვის რაოდენობა არ არის გამორკვეული, მაგრამ დაახლოვებით რომ ვიანგარიშოთ, ურთიერთ დამხმარე კასის წევრთა რიცხვი ქალაქის ფარგლებში დღეს უდრის 50 პროც.

**სექციების მუშაობა.** მაისის თვეში აღსანიშნავია მუშაობა შემდეგი სექციების; აფთიაქის ექიმთა, ბეითალთა და კბილის ექიმთა სექციები.

---

ა. წ. 6 ივნისს მოხდა გაერთიანებული კრება ამიე-კავკასიის რკინის გზის დაცვის რაზმის მე-2 რაიონის წევრების. კრებაზე მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ამხ. გოდბაჟმა, რომელმაც მკაფიოთ დაახასიათა ევროპის კაპიტალისტების მუხანათური პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. შეეხო როგორც ინგლისის უკანასკნელს ნოტას კერზონისას, ისე ამხ. ვოროვსკის მოკვლის ფაქტს ფაშისტების მიერ. იქნა დასურათებული ის განყობილება, რომელიც შექმნილი არის საბჭოთა რესპუბლიკების და დასავლეთ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ინგლისის პოლიტიკის მოტივებს, რომლებიც იმაში გამოიხატება, თუ რა გზით და ხერხით იქმნას მიწასთან გასწორებული საბჭოთა ფედერაციის სტრატეგიული-პოლიტიკური ძალიერება.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგ ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრმა ხემულარიამ განცხადება გააკეთა კრების წინაშე იმ მოღალატური საქციელის შესახებ, რომელიც აღსავსეა მენშევიკების მუშაობა უკანასკნელ წლებში. მენშევიკების ფარისევლობას მუშათა კლასის წინაშე,—განაცხადა მან.—დღეს უკვე ფარდა ეხდება და თვით ურწმუნობიც ეჭვით უყურებენ მათ. ცრუ და მყვირალა ფრაზეოლოგიას. ამიერიდან ყველასათვის ცხადი უნდა გახთეს, რომ მუშათა კლასის მომავალი და ბედნიერება დამოკიდებული არის არა იმ პარტიაზე, რომელიც სიტყვითა და საქმით საფუძველს აცლიდა მუშათა კეთილ დღეობის საქმეს, არამედ რუსეთის რევოლიუციას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ ინტერნაციონალზე, რომელიც დარაჯათ უდგას მუშათა და გლეხთა ინტერესებს.

შემდეგ შემოსული იქნა წინადადება. ნახალოვკის ეკლესიის დახურვის შესახებ. ვრცლად განაცხო კრებას თავმჯდომარემ ამხ. ქავთარაძემ წინადადების აზრი. მან სთქვა: ნახალოვკის ეკლესიებში 1905 წ. იყო თავმოყრილი მუშათა კლასის მტერი—სამღვდელოება, რომელმაც არა ერთი და ორი მუშა შეიწირა მსხვერპლათო. კრებამ ერთხმად დაადგინა ნახალოვკის ეკლესიის დახურვა და მის ნაცვლად დაარსება პირველ რაიონის მუშათა კლუბისა.

**რაზმელი კინო.**

---

# მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში

**4 კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნული საკითხი**

**პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე ამავე დროს არის სიგნალი ყველა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა. კ. მარქსი 1847 წ.**

ამხ. ამაღლობელი იმეორებს ჩვენში ათასჯერ გადაღეჭილს აზრს, რომ მარქსისათვის ეროვნული საკითხი არის მხოლოდ ტაქტიკის საკითხი და ამიტომ მარქსი მას საჭიროების დროს აყენებსო. ეს აზრი მართალია იმდენად, რამდენათაც ყოველი პოლიტიკური კითხვა—და ეროვნული საკითხი უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური კითხვაა,—ტაქტიკის საკითხიცაა და მისი გამოყენება, ამა თუ იმ სახით დასმა შესაძლებელი არის ობიექტიურ გარემოების მიხედვით, სარგებლობიანობის საზომით.

მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ რაკი მარქსი ტაქტიკურად სვამს ეროვნულ საკითხს, მისთვის ეროვნული საკითხი **მხოლოდ ტაქტის** საკითხია, მხოლოდ დროებით იყენებს მას და უარყოფს, არ სწამს ეროვნული კითხვა საზოგადოთ?

მე უკვე აღვნიშნე, რომ ეროვნება, ეროვნული საზოგადოება მარქსისათვის არის ფაქტის საქმე, რომლის არც გადალახვა და არც გაუქმება არ შეიძლება. ისტორიულ ცხოვრების განვითარებამ, მატერიალურ ძალთა ჰიდილმა წარმოშვა ერი, ეროვნული საზოგადოება, რომლის არსებობა ახლაც და მომავალშიც შეურყეველია.*) როგორ უნდა მოექცეს ასეთს შემთხვევაში ამ ფაქტს რევოლიუციონერი დ პრაქტიკული მოღვაწე? დაიჭიროს მისი საწინააღმდეგო პოზიცია, თუ ეროვნებათა მოწესრიგების პროგრამა წამოაყენოს? პირველი გზა პოლიტიკურად დ თეორიულად აბსურდი იქნებოდა, ეს ესმოდათ მარქსა და ენგელს, ამიტომ მათ გარკვევით წამოაყენეს ეროვნული პროგრამა. ამ პროგრამის მთავარი აზრი და შინაარსი იმაში გამოიხატება, რომ მოსპონ ერთა შორის განკერძოება, წინააღმდეგობა, მოსპონ ერთიერისაგან მეორე ერის ჩაგვრა და განამტკიცონ მათ შორის სოლიდარობა. თუ თეორიულად მარქსი ძლიერ ცოტა ადგილს უთმობდა თავის მსოფლმხედველობაში ეროვნებას, პრაქტიკულად ამ კითხვამ მოზრდილი ადგილი მოიპოვა მარქსის რევოლიუციონურ პლატფორმაში. ეს არის კითხვა, რომლის დაძლევა და უარყოფა შეუძლებელი ხდება მარქსისათვის, კითხვა უაღრესად პროგრამული ხასიათისა, რომლის მოწესრიგება და ამა თუ იმ სახით დაყენება ერთ **ერთი პირობათაგანია პროლეტარიატის გასამარჯვებლად.**

მაგრამ რატომ გადაიქცა ეროვნული საკითხი, ეროვნული მომენტი ასეთ პირობად?

„კომუნისტურ მანიფესტში“ ჩვენ ვკითხულობთ: **„ექსპლოატაცია ერთი ნაციისა მეორე ნაციის მიერ“.** თუ ჩვენ ამ სტრიქონების მნიშვნელობასა და შინაარს ახვსნით, ჩვენთვის ნათელი გახდება თუ კაპიტალისტურ მეურნეობის ხანაში რას ნიშნავს ეროვნული მომენტი.

1847 წ. ლონდონში გამართულ კრებაზე ენგელსი ამბობდა: „არც ერთ ერს არ შეუძლია განთავისუფლდეს მანამდე, სანამ იგი ჩაგრავს ხხვა ერს. გერმანიის თავისუფლება ამიტომ არ შეიძლება მოხდეს მანამდის, სანამ არ მოხდება პოლონეთის განთავისუფლება, რომელსაც ჩაგრავს გერმანია“.

მარქსი მატერიალისტია და მისთვის აუცილებელი იყო ერთა ჩაგვრის **ეკონომიური** მხარე გამოეძებნა. რას ნიშნავს ერთი ერის ჩაგვრა, ექსპლოატაცია ეკონომიურად კაპიტალისტურ მეურნეობის სისტემის ხანაში? აი კითხვა, რომელიც მარქს აინტერესებდა ეროვნულ საკითხის გამორკვევის დროს.

ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ ერთი მეორეს დაუპირდაპირა არა მარტო ცალკე ინდივიდები და სოციალური კლასები, არამედ სახელმწიფოები და ერებიც, საერთაშორისო ბრძოლის ლის პროცესში ერთი ერი, ერთი სახელმწიფო დაწინაურდა, გაძლიერდა, განმტკიცდა პოლიტიკურად და ეკონომიურად, და ამით მოიპოვა ყოველგვარი უპირატესობა ზოგიერთ ერებთან შედარებით. ამ დაწინაურებულმა სახელმწიფომ შეიარაღებული ძალითა და ეკონომიური საშვალებებით დაიმონა უფრო სუსტი და ეკონომიურად განუვითარებელი ერი, ხალხი და გადააქცია იგი თავისი ექსპლოატაციის ობიექტად. ამით **შეიქნა მეორე შემოსავლიანი წყარო** დაწინაურებული სახელმწიფოსათვის, ამითვე დაკანონდა, **სისტემად გადაიქცა კაპიტალისტურ წყობილებაში** ერთის მხრით გაბატონებული და და მეორეს მხრით დამონებული ნაციის არსებობა. უკანასკნელი პირველის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენს; გაბატონებული ნაცია ყოველის საშუალებით სცარცვავს დამონებულ ნაციას და ამით ამაგრებს თავის ბატონობის ეკონომიურსა და პოლიტიკურ საფუძვლებს.

ეკონომიური ცხოვრების განვითარების პროცესში, უკეთ კაპიტალიზმის განვითარების სხვა და სხვა სტადიებში ეკონომიური ექსპლოატაციის ფორმები გაბატონებულ ერის მხრით სხვა და სხვა გვარია. სავაჭრო კაპიტალიზმის პერიოდში ეს ექსპლოატაცია ერთი ნაციისა მეორეს მიერ სხვა ფორმას ღებულობს, ვინემ სამრეწველო და ფინანსიურ კაპიტალიზმის პერიოდში.

მარქსი თავის ეკონომიურ ანალიზს კაპიტალიზმის სავაჭრო და სამრეწველო პერიოდების შესწავლით ახდენდა. იგი არ მოსწრებია კაპიტალიზმის შემდეგ სტადიას, როდესაც დაჩაგრულ ერთა და კოლონიების ყვლეფამ უმაღლეს ხარისხს მიაღწია, როცა **ექსპლოატაცია ამ ერებისა კაპიტალიზმის განვითარების ერთ უმთავრეს წყაროდ გადაიქცა.**

სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდებში ურთიერთობა კოლონიებსა (დაჩაგრულ ერებსა) და გაბატონებულ სახელმწიფოთა შორის ეკონომიურად უმთავრესად ვითარდებოდა **ვაჭრობის** ნიადაგზე, საქონლის გაცვლა-გამოცვლის, ტრიალის საშუალებით და ამ გზით ხდებოდა ექსპლოატაცია ჩამორჩენილ ერებისა. ფინანსიური კაპიტალიზმის განვითარებამ და კაპიტალის ექსპორტმა კოლონიები, ჩამორჩენილი ერები **ჩააბა კაპიტალისტურ წარმოების პროცესში და ამით გააფართოვა ამ ხალხების ექსპლოატაციის საშვალებანი და თავისი შემოსავლის წყაროები.** მარქსმა ვერ მოუსწრო კაპიტალიზმის ამ სტადიის განვითარებას. მიუხედავად ამისა მან გენიალური დახასიათება მოგვცა იმისა, თუ რას ნიშნავს **ეკონომიურად** კაპიტალიზმისათვის ერების დამონება და როგორ სოციალური და პოლიტიკური შედეგები მოსდევს მას. მანვე მოგვცა ის პოლიტიკური ხაზი, ის რევოლიუციონური გზა, რომელსაც უნდა დაადგეს სოციალისტური პარტია. მე ნებას მივცემ ჩემს თავს ვრცლად მოვიყვანო აქ ადგილი მარქსის ერთ წერილიდან, რადგან იგი ამ წერილში საუცხოვო ანალიზს უკეთებს ჩვენ მიერ ზემოდ წამოყენებულ კითხვას.

ზიგფრიდ მეიერისადმი მიწერილ წერილში აპრილს 1870 წ. მარქსი სწერდა: „ირლანდია ინგლისის მემამულე არისტოკრატიის სიმაგრეს წარმოადგენს. **ამ ქვეყნის ექსპლოატაცია წარმოადგენს არა მარტო მთავარ წყაროს მისი ნაციონალური სიმდიდრისა; ის—მისი უდიდესი მორალური ძალა.** ფაქტიურად ის ანხორციელებს ინგლისის ბატონობას ირლანდიაზე. ამიტომ **ირლანდია წარმოადგენს** იმ grenq moyen-ს (**უდიდესი საშვალება**) **რომლის წყალობით ინგლისის არისტოკრატია ინარჩუნებს თავის ბატონობას ინგლისშივე** მეორე მხრით: **მოშორეთ ხვალვე ირლანდიას ინგლისის ჯარი და პოლიცია და თქვენ მაშინვე მიიღებთ ირლანდიაში აგრარულ რევოლიუციას.** ინგლისის არისტოკრატიის დამხობა ირლანდიაში უზრუნველყობს მასთან სდევს შედეგათ მისავე დამხობას ინგლისშიც. **ამით შეიქმნება წინასწარი პირობა პროლეტარულ რევოლიუციისთვის ინგლისში...**

„რაც შეეხება ინგლისის ბურჟუაზიას, მას ინ... საერთო ინტერესი აქვს ინგლისის არისტოკრატიასთან, რომ მას სურს ირლანდია უბრალო კოლონია (veideland) გადააქციოს, რომელიც ინგლისს მიაწოდებდა ხორცსა და მატყლს ყველაზე იაფ ფასებში“...

მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიას კიდევ უფრო დიდი ინტერესი აქვს ირლანდიაში ეხლანდელ მეურნეობის აყვავების საქმეში. იჯარის კონცენტრაციის თანდათანობით ზრდის წყალობით, ირლანდია აწვდის ინგლისის ბაზარს თავისთვის ზედმეტ მუშა ხელს, რომელიც ამით სცემს სამუშაო ხელფასს ინგლისის მუშათა კლასისას ან საზოგადოთ მინივთიერსა ან ზნეობრივ პოზიციას. და შემდეგ... ყველაზე მნიშვნელოვანი ინგლისის ყველა სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებს ჰყავს ეხლა მუშათა კონტინგენტი, რომელიც გათიშულა ორ მოპირდაპირე ბანაკათ: ინგლისელ და ირლანდიელ პროლეტარიატათ.

ჩვეულებრივ ინგლისელ პროლეტარს ეზიზღება ირლანდიელი მუშა, როგორც მისი მეტოქე, რომელიც სცემს მის standard of life (ცხოვრების დონეს). ინგლისელი პროლეტარი გრძნობს მისადმი **გაბატონებულ ერის** წევრობას, **და ამით თავის**

---

*) აქედან სრულებით არ გამოდის ის, რომ მარქსმა და ენგელსმა აუცილებლად **ყოველი** ეროვნება უნდა მიიღოს და ყოველ ერში დაინახოს სასიცოცხლო ელემენტები. როგორც ვიცით, ისტორიამ მრავალ ერს მოუსპო არსებობის პირობები და გადააშენა. მაგრამ ეს შეეხება ცალკე განსაზღვრულ ერებს და არა ეროვნებებს საერთოდ. რომელიმე ერი შეიძლება გადაშენდეს, მაგრამ სხვა ეროვნებანი მაინც დარჩეს. კაპიტალისტებმა მეურნეობამაც და იმპერიალიზმმა ასეთი არა სასურველი პირობები მრავალ ერს შეუქმნა. ასეთს შემთხვევაში ყოველი ერის ისტორიულ-პოლიტიკურ და ეკონომიური პირობების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, თუ რომელ ერს აქვს არსებობისა და განვითარების შანსები, და რომელნი შეფერხდებიან ისტორიული ცხოვრების მომდინარეობაში. მარქს-ენგელსი ამ მეთოდით ძლიერ ხშირად უდგებოდნენ 1848—51 წლებში სლავინთა ერების ბედის შესწავლას და ძლიერ ხშირად სრულიად უმართებულო დასკვნები გამოქონდათ მათთვის. აქ არის მარქსის ეროვნულ პოლიტიკის ყველაზე უფრო სუსტი ადგილი. **ფ. მერინგი** თავის მონოგრაფიაში „კარლოს მარქსი“ გადმოგვცემს შემდეგ ცნობას: ენგელსი უარყოფდა სლავიანთა ხალხებისათვის, პოლონელების, რუსებისა და, შეიძლება, ოსმალეთის სლავიანების გამოკლებით, ყოველგვარ ისტორიულ მომავალს—**„იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა დანარჩენ ხლავიანებს არა აქვთ ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიური წინასწარი პირობები დამოუკიდებლობისა და ცხოველ მყოფელობისათვის“** (ენგელსის სიტყვებია, იხ. Меринг: „Карл Маркс“ გვ. 133). მეორე წერილში ენგელსი ამბობდა: „ავსტრიის ყველა ხალხებსა და წვრილ ეროვნებათა შორის მხოლოდ სამი იყო პროგრესის მატარებელი, რომელნიც აქტიურად ჩაერიენენ ისტორიაში და შეინარჩუნეს დღემდე თავიანთი ცხოველ-მყოფელობა: ესენია გერმანელები, პოლონელები და მადიარები. ამიტომ ახლაც ისინი რევოლიუციონური არიან. ყველა დანარჩენ დიდისა და პატარა ტომებსა და ხალხებს, თავიანთ უახლეს მისიად მოელით—გაქრობა მსოფლიო რევოლიუციონურ ქარტეხილში. ამიტომაც ისინი ეხლა კონტრ-რევოლიუციონური არიან“. ერების კონტრ-რევოლიუციონერებად და რევოლიუციონერებად ეს თავისებური ახსნა და დაყოფვა, რასაკვირველია, ძირშივე შემცდარია. მარქს-ენგელსი ძლიერ ამხედრებული იყვნენ ზოგიერთ სლავიანთა ერების წინააღმდეგ მაშინდელი პოლიტიკური პირობების გამო, და ამიტომ მათ **მეტად მკაცრი** და სრულიად შეუფერებელი მუქარით მიმართავდენ. ჩეხები და სხვები **მამაკვდავ ნაციათ** გამოაცხადეს, რაც არ გაამართლა ისტორიამ. ამ საკითხში მარქს-ენგელსს პოლიტიკამ ფეხი წაიტეხა და შემდეგში თვითონ მათ და მათმა მიმდევრებმა 1848—9 წ. გამოტანილი შეუფერებელი განაჩენი უკანვე წაიღეს.

**სან—დონი.**

913 წლ. 1 მაისისა № 76, მუხლი 6), რომლის ...ცნობა ყველას შეუძლია, და ვაცხადებ, რომ აბუ...ძის მტკიცება, **რამდენადაც იგი მე შემეხება** ...ბ. ჩვენ ნიერ ზემოთ ხაზ გასმული სიტყვები), მი... საკუთარი ფანტიზიის ნაყოფია და სინამდვი...ს იოტის ოდნადაც არ შეეფერება.

ასეთივე ფანტასტიურია მისივე მტკიცება მე...46-ე გვერდზე (გაგრძელება მე-247-ე გვერდზე), ...თომც მე მონაწილეობა მიმეღოს „წერა-კითხვის ...ზოგადოების“ რაღაც კომისიაში და „არასასურ...ლად მიმეჩნიოს აბულაძის გამოცემის დასტამ...ა“.

ვაცხადებ, რომ ამგვარი კომისიის არსებობა ...ი ჩემი მოწვევა ან მონაწილეობის მიღება პი...რველად მესმის: არაფერს ამის მსგავსს ჩემს ცხოვ...რებაში ადგილი არა ჰქონია.

ამასთანავე იმასაც ვაცხადებ, რომ პირადად მე აბულაძისათვის არასოდეს შეურაცყოფა და უსი...ამოვნება არ მიმიყენებია (მისი წყალობით კი არა ერთგზის მინახავს უსიამოვნება), და ამიტომ პირ...დაპირ გაოცებული ვარ: რისთვის დასჭირდა მოქ...ალაქე აბულაძეს ჩემ შესახებ ორის ყოვლად უსაფუ...ძვლო ცილის წამების შეთხზვა? დაე, ამ კითხვის პასუხი მისმა სინდისმა ზღოს.

**ს. გორგაძე.**

1923, VI, 11.

ტფილისი.

# სხვა და სხვა

— **მოხამართლე ქალი ამერიკაში.** ამერიკუ...ლმა გაზეთებმა ამას წინათ სენსაცია შექმნეს იმის ...ამო, რომ მოსკოვში მოსამართლის მოვალეობას ...ალი ასრულებდა. ახლა ამერიკაშიც არის საკუთა...ი მოსამართლე ქალი შტატ ოგაიოში. მისი სახე...ი ფლორენს ალლენი არის. ეს არის წყნარი და ...ბრალო ქალი, რომელმაც წამოაყენა თავისი კან...იდატურა სრულიად დამოუკიდებლად ყოველგვარ ...ართიულ სიებისა და რომელმაც გაიმარჯვა მეტო...ე მამაკაცებზე. დიდი,—50.000 ხმის უმრავლესო...ათ. პირველი მოსამართლე ქალი ამერიკაში—სის...ლის სამართლის სპეციალისტია. ალენს ისეთი გა...ზრენების გამოტანა უხდება, რომ მისი სიცოცხლე ...ი ხშირათ საფრთხეშია, მიუხედავად ამერიკულ ...ნისა. ასე მაგალითად, ერთხელ მან იტალიელ ქურ...ებს ხანგრძლივი დატუსაღება მიუსაჯა და ამის ...ემდეგ იტალური ბანდები ემუქრებოდენ მას სამა...ეროს გადახდით; ამის გამო, პოლიცია იძულებუ...ი ხდებოდა სასამართლო კამერაში შემავალნი, ...ველანი გაეჩხრიკა. „ამერიკენ მაგაზინში“ არის ...ლენის საინტერესო აღწერა. სასამირთლოში ის ...ბრალო ტანთსაცმელში ზის, თეთრი საყელრთი. ...ს აქვს უდიდესი გრძნობა საკუთარი ღირსებისა, ...აგრამ სხვა მერიკელ მოსამართლეების მსგავსად ...რულიად არ ახასიათებს აზრი საკუთარ თავზე. ...დამნაშავეებსა და მოწმეთ ის ყოველთვის იმას ...უბნება, რასაც ნამდვილათ ფიქრობს და არასოდეს ...არ დასცინის მათ. დაიბადა ის მარმანების ქვეყა...ნაში, სადაც ახლაც არსებობს მრავალცოლიანობა, ...ერთი სახალხო მასწავლებლის ოჯახში. ალლენმა უნივერსიტეტი კლეველენდში დაამთავრა, ხოლო შემდეგ მან დაჰყო ბერლინსა და ევროპის სხვა მსხვილ ქალაქებში,—მდიდარი ნათესავების დახმარებით. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ის თავს ირჩენდა მუსიკის ლექციებით და მხოლოდ ხანმოკლე ვექილობის შემდეგ, რომელმაც ის პოპულიარული გახადა ფართო მასებში, გადასწყვიტა თავისი კანდიდატურის წამოყენება შტატ ოგაიოს მოსამართლეთ.

— **მოხერხებული დამნაშავენი.** საინტერესო აღმოჩენას ქონდა ადგილი ნიუ-ორკის მიწის ქვედა სადგურებში. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მოხერხებულ პირებს მომარაგებული ქონდათ გერმანული ...ათ ფვენინგიანი მონეთები და უშვებდენ მათ ავ...ტომატში, ამერიკულ ხუთი სენტის მაგივრათ, ბი...ლეთის ყიდვის დროს. მხოლოდ დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ შესძლეს პოლიციელებმა რამოდენიმე ჯენტლმენის დაჭერა, რომელნიც ამერიკულ სენტების მაგივრათ გერმანულ ფვენიგებს ყრიდენ ავტომატში. სასამართლომ ამ დამნაშავეებს მიუსაჯა ჯარიმათ.—200 დოლლარი თითოეულს.

— **გერმანელ კლასიკოსთა გამოცემანი.** მაინზე მდებარე ფრანკფურტში ამას წინათ შესდგა საჯარო აუქციონი მთელ რიგ გერმანელ კლასიკოსთა პირველი გამოცემებისა. მეტად დამახასიათებელია გერმანული მარკის გაიაფებისათვის, ამ აუქციონზე მიღწეული ფასები ასე მაგ., ბრენტანის თხზულებისათვის გადახდილ იქმნა მილიონ ნახევარი მარკა, გიოეტეს სხვა და სხვა თხზულებისათვის ორიდან—სამ მილიონამდე, ხოლო ვეიმარის დიდ გამოცემისათვის 7 და ნახ. მილიონიც კი ფაუსტის პირველი გამოცემისათვის—ორნახევარი მილიონი, „ახალგაზრდა ვერტერის ტანჯვისათვის“—სამ ნახევარი მილიონი და „რომაული კარნავალისათვის“—ექვს მილიონ ნახევარი. კლეისტის ნაწარმოებისათვის „გვარი პროფფენშტეინერ“ [illegible] — [illegible] მილიონი, შილლერის „დონ-კარლოსისათვის“ — [illegible] მილიონი, „უაჩალებისათვის“ — [illegible] ...ლიონი.

# საუბარი გლეხთან

## 11. მრეწველობა, შეერთებულ მიწად-მოქმედებასთან.

მიწად-მოქმედება და მრეწველობა ისე არასოდეს არ ყოფილა ერთმანეთს დაშორებული, როგორც ეს დღეს არის. იყო დრო, და არც დიდი ხანია მას შემდეგ, როდესაც ეს ორი მონათესავე წარმოება ძლიერ ახლო უდგნენ ერთმანეთს: ქალაქის მუშები და ხელოსნები თავს არ ანებებდნენ თავის მინდვრებს და ბევრი ქალაქი იგივე სოფელი იყო ბალ-ვენახებით თუ მინდვრებით და თან სამრეწველო წარმოებებით. თუ საშუალო საუკუნოების ქალაქებში ხელოსნობა თითქმის ხელოვნებას უდრიდა და უფრო მდიდართა და შეძლებულთა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, სულ სხვა იყო იგივე ხელოსნობა თუ მრეწველობა სოფლებში, სადაც ესენი, პირიქით, მილიონთა საჭიროებას და მოთხოვნილებას აკმაყოფილებდნენ. ასეთს მდგომარეობაშია საქმე დღეს რუსეთში, გერმანიაში და თითქმის საფრანგეთშიაც...

მაგრამ, აი, გამოიგონეს მამოძრავებელი მანქანები ჯერ წყლისა, შემდეგ ორთქლისა და ბოლოს თვით ელექტრონისაც. ამათ საბოლოოთ გაწყვიტეს და მოსპეს კავშირი სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობა—სახელოსნოებს შორის, თორემ, როგორც ვსთქვით, წინეთ დიდი და უახლოესი კავშირი იყო მათ შორის. გამრავლდა ქარხნები, რათქმა უნდა უფრო ქალაქებში და მრეწველობამ თავი მიანება მინდვრებს. იგი მოეწყო იქ, სადაც უფრო მარჯვე იყო მუშტართან შეხვედრა და მათგან შეშისა და ნედლი მასალის ადვილათ შოვნა და შეძენაც შეიძლებოდა. გაჩნდა ახალი ქალაქები, ძველები კი გადიდდა, გაფართოვდა და რადგანაც ქალაქებში უფრო მეტია განათლება და შეძლება, ყველას ნატვრა ის იყო, რომ ქალაქებში დაბინავებულიყო ხალხი მილიონობით გაიხვეტა სოფლებიდან ქალაქებში და მალე სულაც მიივიწყეს თავიანთი ოდესღაც მაცხოვრებელი მიწა...

ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა: მოხიბლულნი ახალი მრეწველობის სასწაულებით, ჩვენ თავი დავკარგეთ და ისიც კი ვერ გავარჩიეთ, თუ რომელი სჯობდა—ახალი თუ ძველი, როდესაც მხვნელ-მთესველი იმავ დროს მრეწველიც იყო და ხელოსანიც ამა თუ იმ საქმისა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მორჩა-გათავდა, დაუდგა აღსასრული სოფლის მრეწველობა-ხელოსნობას და დავიჯერეთ, რომ სჯობია მრეწველობა-ხელოსნობამ ქალაქებში მოიკიდოს ფეხი და მეურნეობამ სოფლებში!.. შედეგები გარეგნობით ბრწყინვალე იყო: წარმოება გადიდდა, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ეს ბრწყინვალება ახალი მრეწველობისა მხოლოდ გარეგანი გამოდგა, რადგანაც ის ხალხი, რომელიც მანამდე მაძღრისად სცხოვრობდა სოფლად, ამ ახალი, ქალაქებში მოჯგუფებულ მრეწველობის გამო, მილიონობით სამრეწველო ქალაქებში გამოიხვეტა და როცა ესენი აქა დიდს დამღუპველის გაჭივრებაში და სიღატაკეში ჩაცვივდნენ ხშირი უმუშევრობის გამო, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ თავიანთ შეცდომას...

ასეთი იყო სოფლებს მოწყვეტილი სამრეწველო მუშების მდგომარეობა და, თქმა არ უნდა, რომ მათ არც დიდს ხანს შეეძლოთ ამ მდგომარეობაში დარჩენა. საჭირო გახდა ძირ-ფესვიანად შეცვლა სამრეწველო სისტემისა, საჭირო გახდა კვლავაც და დაუყოვნებლივ კვლავ დაახლოვება შრომისა და წარმოების ამ ორი მონათესავე დარგისა, და ჩვენც ვხედავთ, რომ ცხოვრებამ თავისი გაიტანა და მრეწველობას კვლავაც სოფლისაკენ შეუბრუნა პირი. ტყუილად კი არ სწერდა გერცენი: „ცხოვრება შეუდარებლად ჯიუტია თეორიაზე: იგი დამოუკიდებლად მიდის წინ და, თუმცა შეფერხებით, ბოლოს მაინც იმარჯვებს მათზეო“ (ე. ი. თეორიებზე).

გავსინჯოთ ეხლა ის დარგიც მრეწველობისა, რომელსაც წვრილი წარმოება ეწოდება და შევისწავლოთ ყველა ეს არა ეკონომისტთა წიგნებიდან, რომლებიც დრო-მოქმულ სისტემად სთვლიან მას და, ამიტომ, არც ღირსად ყურადღებისა, არამედ შევისწავლოთ თვით ცხოვრებიდან, თვით საქმის კარნახიდან და იმ ბრძოლიდან, რომელსაც შინა-

---

**...ავს ქმნის კაპიტალისტებისა და არისტოკრატიის ...არაღად ირლანდიის წინააღმდეგ, ამაგრებს ამით ...ათ ბატონობას თავის თავზე.** ის სავსეა რელიგი...ზური, ნაციონალური და სოციალური ცრურწმე...ით ირლანდელ მუშის მიმართ ის მას დაახლოე...ით ისე ეპყრობა, როგორც თეთრები ნიგრებს ყო...ველ მონების შტატებში. ირლანდიელი თავის ...ხრით ინგლისელ პროლეტარს უხდის იმავე ღირე...ულებით და კიდევ ზედმეტათ. **ინგლისელ მუშაში ...ს ხედავს კაცს, რომელიც ატარებს დანაშაულე...ის ნაწილს ირლანდიის დაჩაგვრაში და წარმოად...ენს ბრმა იარაღს ინგლისის ბატონობისათვის ირ...ლანდიაზე.** ამ ანტოგონიზმს ხელოვნურად ჰკვე...ავს პრესა, ეკლესია, იუმორისტული ფურცლები, ...ერთი სიტყვით ყოველ გვარი საშვალება, რომელიც ...ბატონებულ კლასს მოეპოება.

ამ განხეთქილებაში ძევს ინგლისელ მუშათა ...კლასის უძლურების საიდუმლოება, მიუხედავათ მი...ი ორგანიზაციისა. **მასშია კაპიტალისტთა კლასის ...ბატონობის გაძლიერების საიდუმლოება. კაპიტა...ლისტებს ეს ძლიერ კარგათ ესმით.**

„ბოროტება ამით არ თავდება. ის ოკეანეს ...ეთა მხარეზედაც ვრცელდება. ინგლისელებსა და ...ირლანდიელებს შორის ანტოგონიზმი არის საი...დუმლო საფუძველი კონფლიკტისა ინგლისსა და ...შეერთებულ შტატებს შორის. ის ქმნის შეუძლებ...ლობას რაიმე სერიოზულ ან გულწრფელ თანამ...შრომლობისათვის ორივე ქვეყნის მუშათა კლასს ...შორის. ის ნებას აძლევს ორივე ქვეყნის მთავრობებს, ყოველთვის, როდესაც კი ისინი საჭიროთ ...დაინახავენ სოციალურ კონფლიკტების სიმწვავე ...მოადუნონ, ასტეხონ აურზაური ერთი მეორის წინააღმდეგ, და თუ საჭიროება მოითხოვს ომსაც კი ...მიმართონ ურთიერთშორის.

„ინგლისი, როგორც კაპიტალის მეტროპოლია, როგორც სახელმწიფო, რომელიც აქამდე ბატონობს მსოფლიო ბაზარზე წარმოადგენს ჯერჯერობით მაინც მნიშვნელოვან ქვეყანას მუშათა რევოლიუციისათვის. ამასთანავე ის ერთად ერთი ქვეყანაა სადაც მატერიალური წინაპირობები ამ რევოლიუციისა სიმწიფის მნიშვნელოვან ხარისხს აღწევენ. ამიტომ სოციალურ რევოლიუციის დაჩქარება ინგლისში საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის უმნიშვნელეს ამოცანას წარმოადგენს. მისი დაჩქარების ერთად-ერთი საშვალება, ეს—ირლანდიის დამოუკიდებლათ გადაქცევაა. აქედან ინტერნაციონალის ამოცანა—ყველგან პირველ რიგში წამოყენება ინგლის-ირლანდიის კონფლიქტისა, ყველგან ახდილათ ირლანდიის მხარეზე ყოფნა. გენერალური საბჭოს (ინტერნაციონალის) სპეციალურ ამოცანას ლონდონში შეადგენს—გამოიწვიოს ინგლისის მუშათა კლასში შეგნება იმისი, რომ ირლანდიის ნაციონალური განთავისუფლება მისთვის აბსტრაკციულ სამართლიანობისა ან კაცობრიულ გრძნობის საკითხს კი არ წარმოადგენს, არამედ ის არის პირველი პირობა მისი საკუთარი სოციალურ-რევოლიუციური განთავისუფლებისათვის.“ *) (კურსივი ჩემია ს. დ.)

როდესაც ამ ისტორიულ დოკუმენტს კითხულობთ, ასე გგონიათ ეს აგერ ახლა დასწერა რევოლიუციის გენიოსმა სარდალმა ლენინმა. ლენინი ამ ამონაწერში მხოლოდ პატარა შესწორებას შეიტანდა: ირლანდიის ნაცვლად იგი იტყოდა: ყველა კოლონიები, დაჩაგრული ერები და ხალხები.

მაგრამ მარქსს კოლონიების მდგომარეობაც აქვს საუცხოოთ დახასიათებული, მე თავს ვანებებ „კაპიტალის“ პირველი ტომის უკანასკნელ თავს ამის შესახებ, სადაც მარქსი არკვევს აგრედ წოდებულ პირველ დაგროვების საკითხს. 1881 წ. **ნიკოლოზ—ონისადმი** მიწერილს წერილში მარქსი სწერს შემდეგს: „ინდოეთში ბრიტანეთის მთავრობისათვის მზადდება სერიოზული შეფერხებანი, თუ არა საერთო ამბოხება. ის, რასაც ინგლისელები ყოველწლიურად **ართმევენ ინდოელებს რენტის ფორმით, თვით ინდოელებისათვის უსარგებლო გზებისათვის რკინის გზის დივიდენდების სახით, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების პენსიის ფორმებით, ავგანისა და სხვა ომების ხარჯებისათვის და სხვა და სხვა—ის, რასაც ისინი ართმევენ მათ (ინდოელებს) ყოველგვარ ეკვივალენტის გარეშე და სრულიად დამოუკიდებლად იმისგან, რაც ინდოელები იძულებული არიან გაგზავნონ ინგლისში სრულიად უფასოდ,—აჭარბებს ინდოეთის 60 მილიონიან მიწად-მოქმედებისა და სამრეწველო მუშების შემოსავლის მთელს საერთო თანხას!** ეს არის,—სისხლიანი, მღალადებელი საქმე, მშიერი წლები მისდევენ იქ ერთი მეორეს და აღწევენ ევროპაში აქამომდე გაუგონარ ხარისხამდე. მცხოვრებლებში მზადდება ნამდვილი შეთქმულება ინგლისელების წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ერთად ინდოელებიც და მუსლიმანებიც“. წერილის ბოლოში მარქსი აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის მთავრობამ იცის, რომ ინდოეთში „რაღაც“ ხდება, მაგრამ მათ არ სურთ წარმოიდგინონ მთელი სიგრძე მოსალოდნელი საფრთხისა. **„მით უფრო უკეთესი“**—დასძენს მარქსი*.*)

ეს წერილი ლოღიკურად დამატება და გაგრძელება არის მარქსის ზემოდ ამონაწერ წერილისა. ისინი ერთი მეორეს ავსებენ და გარკვეულ სურათს იძლევიან ერთი მეტად საინტერესო საკითხის შესახებ.

რაში გამოიხატება ამ წერილების მთავარი აზრი და შინაარსი? ამხ. ზინოვიევი პირველი ამონაწერის (1870 წ.) შესახებ ამბობს: „ეს იძლევა გასაღებს მარქსიზმის პოზიციის შესახებ ნაციონალურ საკითხზეო“. რაში გამოიხატება ეს „გასაღები“ და რა მხრივ უნდა მოვიხმაროთ იგი ნაციონალურ საკითხის გასაგებად?

*) **Г. Зиновьев:** „**Война и кризис социализма**“ პირველი ნაწილი გვ. 98—9.

**) იხ. „**Письма**“ გვ. 251.

---

მარქსი თეორიულად თავის გამოკვლევებში „კაპიტალის დაგროვების“ მთავარ წყაროს და შემოსავალს ხედავდა წარმოების პროცესში, მუშების, შრომის ექსპლოატაციაში—ზედმეტი ღირებულების მითვისებაში. მარქსისტული ეკონომიკა ჩვენ გვიხსნიდა და გვიმარტავდა, რომ კაპიტალიზმის ესპანსია, მისი ზრდა, კონცენტრაცია ხდება იმის გამო, რომ კაპიტალი შრომის ექსპლოატაციას ახდენს, აძლევს რა მუშას ნაკლებ ხელფასს და ითვისებს ზედმეტ ღირებულებას. კაპიტალიზმის ზრდისა და ესპანსიის მთავარი წყარო არის წარმოების პროცესი. აქედან გამოდიოდა მარქსის რევოლიუონური პოლიტიკა: ამხედრება მუშათა კლასისა და მიღება შრომის სრული ხელფასის ნიშნავს კაპიტალიზმის დასასრულს.

ისტორიულ ცხოვრების განვითარებამ მარქსიზმს დაანახვა, რომ კაპიტალიზმის არსებობისათვის სხვა წყაროც არის გასავითარებლად: ეს არის ჩამორჩენილი, არა კაპიტალისტური ქვეყნები ხალხები, კოლონიები, რომელთაც ყოველგვარი საშუალებით სცარცვავს დაწინაურებული კაპიტალი და ამით იჩენს თავისი ექსპლოატაციისათვის ახალ „შემოსავიან ადგილს“. კოლონიალურ პოლიტიკის შესწავლამ, ინდოეთის, ირლანდიისა და სხვა დამონებულ ერების სოციალ-პოლიტიკურ და მეტოპოლიასთან ურთი ერთობის ფორმებმა მარქსს დაანახვეს, რომ გარდა წარმოების პროცესისა, კაპიტალს აქვს სხვა წყაროც შემოსავლისთვის, და ეს წყაროა ინდოეთი, ირლანდია. კოლონიები. ამ წყარებიდან მიღებული ზედმეტი მოგებით, ცარცვით კაპიტალიზმი აძლიერებს თავის ბატონობას მეტოპოლიასა და მთელს მსოფლიოში. **„ამაში არის საიდუმლოება კაპიტალისტთა კლასის ბატონობის განმტკიცებისა, კაპიტალისტებს ეს კარგათ ესმით“**—როგორც ამბობს მარქსი. ამ აღმოჩენით მარქს არავითარი შესწორება არ შეუტანიათ თავის დებულებეში. თეორიულად მარქსი დარჩა თავის ძველ შეხედულებაზე. მაგრამ პრაქტიკულად, რევოლიუციონურ სტრატეგიის მხრით სამოღვაწეო პროგრამაში კი **ერთგვარი რევიზია** მოახდინა: **კლასთა ბრძოლის მეთოდთან ერთად წამოაყენა ეროვნული საკითხი.** (რასაკვირველია არა თანაბრად) სოციალური ტრანსფორმაციის მოსახდენად იგი იყენებს, როგორც მუშათა მოძრაობას, ორგანიზაციას, ბრძოლასა და ყოველგვარ მეთოდებს, ისე ეროვნულ მომენტსაც. მარქსი ამბობს: სოციალური რევოლიუციის გასავითარებლად პირველი ადგილი უჭირავს ინგლის, ამის შესახეა მარქსი 1848 წ. სწერდა: „ევროპის კონტინენტის რომელიმე ქვეყანაში და თითქმის მთელს კონტინენტზე ეკონომიური ურთიერთობაში გადატრიალება, ინგლისის გარეშე—წარმადგენს მეტს არაფერს, თუ არ ქარტეხილს წყლიან ჭიქაში“. მაგრამ ინგლისის რევოლიუციას აფერხებს ის გარემოება, რომ ინგლისის ფეოდალური ოლიგარხია და ბურჟუაზია თავის ძალას ამაგრებს ირლანდიის ცარცვით. და აი მარქსი მთელი თავისი სიძლიერით მოითხოვს ირლანდიის დამოუკიდებლობას, რომ ამით ხელიდან გამოაცალოს ბურჟუაზიას თავისი სიძლიერის ყავარჯენი და გაუადვილოს პროლეტარიატს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.

ამ გვარად მარქსის რევოლიუციონურ პოლიტიკაში, სამოღვაწეო პროგრამაში თანდათან შეიქნა ეროვნული საკითხი, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სოციალური რევოლიუციისა.

ენგელსისადმი მიწერილს (1869 წ. 10 დეკ.) სხვა კორესპონდენციაში მარქსი სწერს: „ინგლისის მუშათა კლასს **არაფერი არ შეეძლება გააკეთოს სანამ** ის არ მოშორდება ირლანდიას. სიმძიმის ცენტრი ირლანდიაშია. **აი რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ირლანდიის საკითხი სოციალური მოძრაობისათვის საერთოდ“** („Письма“ გვ. 178). ამ დებულებას მარქსი იცავდა ინტერნაციონალის საბჭოში განსაზღვრულ პერიოდებში. ირლანდიის საკითხის შესწავლა, ზემოდ მოყვანილი მოსაზრების გამო, შეიქმნა მარქსისათვის მეტად სერიოზულ საკითხად. ირლანდიის 1779—1800 წ. პერიოდისათვის მარქსი ამბობს, რომ ეს პერიოდი იწვევს დიდ ინტერესს, როგორც მეცნიერული, ისე დრამატიული მხრივ. 1) ღორობა ინგლისელებისა, რომელიც მათ ჩაიდინეს 1588—1589 წ. განმეორებულია (შესაძლებელია უფრო ფართო მასშტაბით) 1788—9 წლებში, 2) **ირლანდიის მოძრაობაში ადვილი აღმოსაჩენია კლასიური მოძრაობა...** 4) რაც იქნება ბ-ნ ინგლისელებისათვის, სამწუხარო ეს დამტკიცებაა იმის, რომ ირლანდია დაიღუპა იმიტომ, რომ ფაქტიურად, რევოლიუციონური თვალსაზრისით, **ირლანდიელები მეტის მეტად მოწინავენი იყვენ ინგლისის ბრბოთათვის**, რომელნიც იცავენ **მეფესა და ეკლესიას**, მეორეს მხრით, ინგლისური რეაქცია ინგლისში (როგორც კრომველის დროსაც) ირლანდიის დამონებაში მარხია“. (იქვე 179).

ამ გვარად ეროვნული მომენტი მარქსის რევოლიუციონურ პლატფორმაში შეიჭრა, როგორც ერთ ერთი მნიშვნელოვანი რევოლიუციონური ფაქტორი.

ეს იყო მხოლოდ ჩანასახი მარქსიზმის პოლიტიკაში, რომელიც მეტად მძლავრი არგუმენტაციებით იქმნა გამაგრებული, და შემდეგში კი სარჩულად დაედვა თანამედროვე კომუნისტურ მოძრაობას და მთელი კომინტერნის პროგრამას.

(შემდეგი იქნება).

**ხან—დონი.**

მრეწველობა და წვრილი წარმოება აწარმოებდა და დღესაც აწარმოებს მსხვილ ქალაქურ წარმოებებთან.

შინამრეწველობა და წვრილი წარმოება-ხელოსნობა იყოფა ორ დიდ დარგად, 1) წარმოებანი, რომლებსაც აწარმოებენ თვით სოფლელები მამაპაპეული მიწად-მოქმედებასთან და 2) წარმოებანი, რომლებსაც აწარმოებენ სოფლებში და ქალაქებში, მაგრამ სრულიად უკავშიროდ მიწად-მოქმედებასთან, ე. ი. როცა წარმოებათა პატრონები ცხოვრობენ მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ სამრეწველო წარმოებით...

რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში და ავსტრიაში მთელი მილიონი და ათი მილიონები მისდევენ პირველ-გვარ წარმოებათ. ესენი ცხოვრობენ საკუთარ თუ იჯარით აღებულ მიწაზე, ჰყავთ თითო-ოროლა ძროხა, ცხენი, ამუშავებენ მინდორს, ბოსტანს, ბაღს და თან აწარმოებენ რომელიმე სახელოსნოს, როგორც მეორე-ხარისხოვან და სხვათა შორის საქმეს.

ასეთი მიწადმოქმედებასთან შეერთებული წვრილი წარმოებანი გავრცელებულია მეტადრე ისეთ ქვეყნებში, სადაც გრძელი ზამთარი იცის და, ამიტომ, სიცივის გამო შეუძლებელია აწარმოვო მეურნეობა მინდვრად...

ინგლისში კი სჭარბობს უფრო მეორე-გვარი მრეწველობა-წარმოება. აქ ძლიერ მცირედ დარჩა ხვნა-თესვისა და ხელოსნობის ერთად მიმდევარი. მეორე-გვარ წარმოებათა მიმდევრები ცხოვრობენ უფრო ქალაქების განაპირებში და მისდევენ აქ რომელიმე სამრეწველო ხელობას და ცხოვრებითაც მარტო ამ ხელობით ცხოვრობენ. ასეთებია ინგლისში, მაგალითად, ქალაქები შეფილდი და ბირმინგაში. არის ისეთი სოფლებიც, სადაც ხალხი უმთავრესად მისდევს წვრილ სამრეწველო საქმეებს საკუთარ სახლებში და თანაც აქვთ საკუთარი ბაღი, ბოსტანი, პატარა მინდორი, საერთო საძოვარი, ჰყავთ ფუტკარი, ფრინველი, ძროხა, ცხენი და სხვა.

ბევრს, მრავალგვარ საქმეს ვხედავთ ჩვენ მათში თვით ნაწარმოებთა გასაღებაში. ესენიც, ე. ი. გამსაღებელნი ანუ შუამავალნი შეიძლება გავყოთ ორ დიდ ჯგუფად: 1) ერთში ხელოსნები ჰყიდიან თავიანთ ნახელოვნარს ნარდათ მოვაჭრეებზე, მაგალითად, დურგლები, ფეიქრები, სათამაშოთა მკეთებელნი და ბევრნი სხვანი.

მეორე ჯგუფში ითვლებიან ისინი, რომლებსაც ჰყავთ „აღები“ ანუ „ხაზეინები“, რომლებიც ჰყიდიან თავის საქონელს ან ნარდათ მსყიდველებზე და ან ითვლებიან რომელიმე დიდი სავაჭრო ფირმის წარმომადგენლად და დამზადებულს საქონელსაც მთლად ამ ფირმას უგზავნიან.

ამ ჯგუფს ეკუთვნიან ის ხელოსნები, რომელთა მიერ მუშა ხალხის უფლებაზე ბევრს სწერდნენ და ლაპარაკობდენ ინგლისში ამ რამდენიმე წლის წინეთ, სახელდობრ: სათამაშოთა მკეთებელნი, მკერავი ქალნი თუ კაცნი, რომლებიც მუშაობენ ტანსაცმელთა დიდრონ მაღაზიებისთვის ანუ თვით სახელმწიფოსთვის, მეწაღე-მებაშმაკენი, რომელთაც არა აქვთ თანხა და სხვა შეძლება, რომ დამოუკიდებლად იმუშაონ და დამოუკიდებლადვე გაჰყიდონ თავიანთი ნაწარმოებნი.

ორ ჯგუფათვე იყოფა სატეხნიკო საქმეთა მიმდევრები: 1) რომლებიც მუშაობენ საკუთარ სახლში და იქვე ცხოვრობენ. არის ისეთი საფეიქროებიც, სოფლებში თუ ქალაქებში, სადაც მუშაობს მთელი ოჯახი და რამდენიმე დაქირავებული მუშა და ასეთი ქარხნები არსებობენ თვით უუდიდეს ქარხნების გვერდით. ხელფასი ასეთ წვრილ ქარხნებში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დიდრონ ქარხნებში და არც სამუშაოთი არიან აქ უზრუნველყოფილნი მუშები, რადგან დღეს თუ არის საქმე, ხვალ აღარ არის ხოლმე და, ხშირად, მეტს ხანსაც მუშაობენ ხოლმე, ვიდრე ეს დიდრონ ქარხნებისთვის არის დაწესებული.

მაგრამ მწარმოებელნი და მუშები მაინც რჩეობენ დამოუკიდებლად ცხოვრებას და ამიტომ საკუთარ საქმეს აწარმოებენ. მაგრამ ყველგან როდია აგრე, ბევრგან გაცილებით უკეთ ცხოვრობენ ასეთი მწარმოებელნი, მაგალითად, შვეიცარიის წვრილ სახელოსნოებში—მესათეებში. ზოგჯერ კრიზისებიც იცის ასეთს წვრილ წარმოებებში, მაგრამ რა წამსაც გაივლის ხოლმე კრიზისი, ესენი კვლავ ფენიქსებრ ცოცხლდებიან და მოქმედება-არსებობასაც განაგრძობენ. და თუ დაიხურება რომელიმე ქარხანა, ხელად არსდება სრულიად ახალი, სხვა წარმოების ქარხანა.

ასე რომ წვრილ წარმოებებს სრულიად არ ეშინიანთ მოსპობისა. პირიქით, ყოფილა ისეთი კრიზისები, როცა დიდი ქარხნების უდიდესი მანქანები გაჩერებული ყოფილა რამდენიმე თვით და წვრილი წარმოებანი კი მშვენივრად განაგრძობდენ ხელით ქსოვას საკუთარ სახლებში ან თვით დიდი ქარხნების გვერდითვე არსებულ პატარა ქარხნებში. თვით იმავე დიდი ქარხნების პატრონების შენაკვეთების გაკეთებაზე. აბრეშუმის წარმოებაზე ხომ ნუღარას იტყვით: ათობით და ასობით ემატება ყოველწლივ წვრილი ქარხნები, ზოგი სოფელებში ზოგიც ქალაქებში. ესევე ითქმის ლითონის მომუშავეებზე: უკანასკნელ ხანებში, საფრანგეთსა ინგლისში დაარსდა მრავალი წვრილი ქარხნები და სახელოსნოები მელითონეთა, სადაც მუშაობენ საუკეთესო ხელოსნები, როცა უკანასკნელ ომის დროს ინგლისის მთავრობამ აიღო თავის გამგებლობაში ოთხი ათასი ასეთი სახელოსნო საომარი იარაღების საკეთებლად, მათში აღმოჩნდა ორი ათასზე მეტი საუკეთესო ოსტატი. ესენია ის ბუდეები, სადაც ყოველწლივ ხდება აუარებელი საუკეთესო იარაღებისა და მანქანების კეთება და გამოგონება..

დიდი ქარხნების უპირატესობა გამოიხატება შემდეგში: 1) შრომის ეკონომიაში; 2) საქონლის ადვილად გასაღებაში, რადგანაც მოეპოვებათ მრავლად დამზადებული ნაირ-ნაირი საქონლი და 3) ნედლი მასალის სარფიანად შეძენაში. წვრილი წარმოებანი მოკლებულია ამ უპირატესობებს..

მაშ რით ავხსნათ ის ცხოველი ძალა, რომელიც თანა სდევს ყოველ წვრილ წარმოებას? ბევრი მიზეზით, მაგრამ მათს გარკვევას ჩვენ შემდეგ წერილებში განვაგრძობთ.

**ივ. როსტომაშვილი.**

# ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡᲐᲨᲘ

### წერილი ახალციხიდან.

**ბორჯომ-ახალციხის საფოსტო გზა.** რამდენიმე წელია, რაც ბორჯომ-ახალციხის გზის შეკეთება არ მოუხდენიათ. ძველი რეჟიმის დროს არა თუ ყოველ წელს, არამედ წელიწადში რამდენიმე ჯერ შეაკეთებდნენ ხოლმე წვიმისაგან და ნიაღვრისაგან გაფუჭებულ გზას.

თუ არ ვცდები, რუსეთის მეფის დაცემის შემდეგ, ეს გზა აღარ შეუკეთებიათ და ამ ხნის განმავლობაში უპატრონოთ იყო დატოვებული და მასზე არა ფიქრობდა და სამწუხაროთ დღესაც არავინ ფიქრობს,—არც ახალციხის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი.

გასული წლის დიდმა ნიაღვარმა და გადაუღებელ წვიმებმა და აგრეთვე წინა წლების წვიმებმაც ძალიან დააზიანა მოხსენებული გზა, ასე რომ ვინც ხშირად მგზავრობს ბორჯომ-ახალციხის ფარგლებში, ის აუცილებლად შეამჩნევს ყოველ მხრივ დაზიანებულ გზას.

გზაზე დღესაც ალაგ-ალაგ ღელის წყალი გადმოდის და ეტლს ამ წყალში უხდება გასვლა.

გზის უვარგისობის გამო ხშირად ყოფილა ავტომობილის და ეტლის ხრამში გადავარდნა და მგზავრების დაშავება.

ორს ამა მაისის ადიდებულმა წყალმა (მტკვარმა) ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, და ისედაც დაზიანებული გზა ერთი ხელის მოქნევით სამი ოთხი ვერსის მანძილზე მთლად აზვირთებულმა აბობოქრებულმა წყალმა შთანთქა თავის წიაღში, ასე რომ ეტლით მიმოსვლა აღარ შეიძლება.

გზა გაფუჭებულია ს. აწყურის იქით, ს. დვირთან ბორჯომამდე კიდევ ხუთმეტი ვერსია. ახალციხიდან მომავალი ეტლი მგზავრებით ჩერდება ს. დვირთან ახლო და ჩერდება. შემდეგ მგზავრი ფეხით სამ—ოთხს ვერს მაღლა ადის კლდე-ღრეში, იქიდან მიდის ბორჯომის გზაზე. ავეჯს ვირებით ზიდვენ და ან მუშებს გადაქვთ, გაივლიან კლდე-ღრეს სამ—ოთხს ვერს და შემდეგ ისევ დაეშვებიან ბარისაკენ, ბორჯომის გზისკენ. ბორჯომიდან მომავალი ეტლი (რომელიც მოდის გაფუჭებულ გზამდე ს. დვირამდე) უხვდება ახალციხიდან მომავალ მგზავრს ურიგდება და მიჰყავს ბორჯომში: „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“ სწორეთ მეეტლებზე ითქმის. მგზავრს ახდევინებენ ეტლზე ერთს დასაჯდომ ადგილის საფასურს, რაც მათი გაღვიძებული მადა მოისურვებს ამ ხუთმეტი ვერსის მანძილზე. (ბორჯომამდე). თქვენი ბედი, თუ ბორჯომიდან არ არის მომავალი ეტლი, მაშინ ფეხით, ან თუ არის ბედზე ურემი—იმით იმგზავრებთ. გაფუჭებული გზა ერთ ვერსზე მეტია და დიდი შრომა, ენერგია და ფულია საჭირო გზის შეკეთებისათვის.

ერთ კვირაზე მეტი ახალციხე მოსწყდა მთელ ქვეყნიერებას. ფოსტა რასაკვირველია აღარ მოდის და არ მოაქვს გაზეთები, რომ გავიგოთ ქვეყნის ამბები.

არა თუ ფოსტა არ მოდის, თვით ტელეგრაფიც კი არ მუშაობს გაფუჭების გამო, ასე, რომ ჩვენ ახლა ერთ მიყრუებულ ტყეში ანუ უდაბნოში ვცხოვრობთ.

როდის გვეღირსება გზის შეკეთება და ახალციხე-ბორჯომის მიმოსვლის აღდგენა და ჩვენს დედა ქალაქ ტფილისთან დაკავშირება ვინ უწყის...

მოუწოდებთ ახალციხის აღმასკომს ყოველგვარი ზომების მიღებისაკენ ახალციხე-ბორჯომის გზის შესაკეთებლად სრული მიმოსვლის აღსადგენათ. ამით საზღვარი დაედება ადგილობრივ ვაჭარ-სპეკულიანტების გაღვიძებულ მადას... აბასთუმანში მიმავალ საგარაკოთ ავადმყოფებსაც არ შეუფერხდებათ მგზავრობა.

**ტანჯული მესხი.**

### წერილი ახალციხიდან.

ახალციხის სამხედრო შენობები: ყაზარმები, ციხე (სადაც რუსის წითელ-არმიელები დაბანაკებული არიან) და „პრავიანტი“-ს (სურსათის საწყობები) სრულიად უპატრონოთაა მიტოვებული, რის გამო ნელ-ნელა ნადგურდება, ინგრევა, სინიდისიდან გარეცხილი მოქალაქეების მიერ.

ყაზარმები და ციხე უკანასკნელად შეაკეთა მენშევიკების მთავრობამ, რომელმაც იმ დროს დახარჯა რამდენიმე მილიონი მანეთი.

საბჭოთა ხელის უფლების დამყარების შემდეგ სამწუხაროდ, ეს შენობები კვლავ განადგურების გზას დაადგა.

ყაზარმების ფანჯრები მინებისგან მთლად გაძარცულია.

ქალაქის ძველ-ნაწილში, სადაც ერთს დროს სურსათი ეწყო,-შენობას თითქმის სულ ახადეს რკინის სახურავი (ჟესტი) და ჰყიდიან მას კერძო პირებზე, რომელიც ძვირათ ფასობს.

ციხეში მოთავსებულ დიდ სამზარეულოს შესავალ მარჯვენა მხარეზე რუსის წითელარმიელებს მიუყვიათ ხელი და ნელ-ნელა ხდიან რკინის სახურავს (ჟესტს). ნაძირალა მოქალაქეები არ იღებენ მონაწილეობას ვინაიდან რუსი ციხის გუშაგი ციხეში კერძო პირს სრულიად არავის უშვებს.

აგრეთვე ნადგურდება ნელ-ნელა სხვა სამხედრო შენობებიც.

ნუ თუ რუსი მეცხოვნე, ვერ ხედავს, რომ წითელ-არმიელები ასე ანადგურებენ ... ხელმწიფოს ე. ი. ხალხის ქონებას? თუ ხედავს, რატომ დროზე ზომებს არ იღებს შენობების გადასარჩენათ?

როგორც ვიცით, სამხედრო შენობები ახალციხის საინჟინერო დისტანციის განკარგულებაში იყო, დისტანცია სრულიად დაიხურა და ახლა ვინ განკარგულებაშია სამხედრო შენობები არ ვიცით.

დროა ახლა მაინც მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება სამხედრო შენობებს ვისგანაც ჯერ არსთორემ შემდეგ მილიონები კი არა, ვერც მილიარდები შეაკეთებს მათ...

**ტანჯული მესხი**

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ივანე სარაჯიშვილის იუბილესა და ალექსანდრე წუწუნავას ბენეფისისთვის დადგმული იყო თითო აქტი აბესალომ და ეთერისა, რომლისაც ლიბრეტო ეკუთვნის პეტრე მირიანიშვილს. ლიბრეტოს ავტორმა მოითხოვა ჰონორარი, მაგრამ ოპერის დირექციამ უარი უთხრა. პეტრე მირიანიშვილმა გაასაჩივრა განკარგულება. ოპერის დირექციისა და სახალხო განათლების კომისარმა მიუსაჯა ავტორს კუთვნილი ჰონორარი, რომელიც, ავტორის განცხადებისამებრ, უნდა გადადებულ იქნას ქუჩის ბავშვების სახლის სასარგებლოდ. იუბილეს ჰონორარია თხუთმეტი მილიონი, ხოლო ბენეფისის-ერთი მილიონ სამასი ათასი მან.

**ცენტრარმკლუბში.** დღეს ცენტრარმკლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება უფასო წარმოდგენა წითელ-არმიელთათვის და პროფკავშირის ყველა წევრთათვის, წარმოდგენილ იქმნება ქართულ ენაზე რევოლიუციონური პიესები: „პარიზის კომუნარი“ და „სულიერი მამა“. შესვლა უფასოა. წარმოდგენა იდგმება ხუციშვილის ხელმძღვანელობით.

### წერილი რედაქციის მიმართ.

1917 წლიდან ვმუშაობდი სოც.-ფედ. მოწაფეთა პარტიულ ორგანიზაციებში 1921 წლამდე, ხოლო პარტიის გაყოფის შემდეგ, არც ერთ მათგანს აღარ ვეკუთვნოდი. დღიდან განხეთქილების ჩამოვარდნისა შეძლება მქონდა თვალყური მედევნებია და დაწვრილებით გავსცნობოდი ორივე მათგანის მოქმედებას, რის შემდეგაც ჩემთვის უკვე ცხადი შეიქმნა, რომ საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტია, რომელიც მტკიცეთ სდგას, არჩილის მიერ ნაანდერძევ მუშურ-გლეხურ ინტერესების სადარაჯოზე—არის ერთათ-ერთი მხსნელი გზა ერისა და კაცობრიობისა.

ამისათვის ვუერთდები ამ პარტიას სრული შეგნებით.

**მიხეილ კამკამიძე.**

8/VI - 23 წელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

საქ. საბჭოთა რესპუბლიკის ჯანმრთელობის კომისარიატის
**მთავარი საკურორტო სამმართველო**

წლევანდელ სეზონისათვის ხსნის სანატორიუმს ბორჯომსა და აბასთუმანში კერძო ავადმყოფთათვის. თვიური ფასი პანსიონითა და სამკურნალო წამლობით 130 მანეთი ჩერვონეცებით. იმავე დროს ამ კურორტებზე იხსნება **სასტუმრო** (დასვენების სახლი) კვებითა და სამკურნალო მეთვალყურეობით.. **ოთახები ქირავდება თვიურათ და კვირეულათ.** თვიური ქირა კვების გარეშე 50—60 მანეთი ჩერვონეცებით—კვირეულათ—15—20 მანეთი ჩერვონეცებით, ოთახის სიდიდის მიხედვით.

ოთახებზე ჩაწერვა სწარმოებს მთავარ საკურორტო სამმართველოში სამკურნალო განყოფილება, საპიორის ქუჩა № 30, 15 ივნისამდე ა. წ. შუადღის 12—1 საათამდე.

1—1

ს. ს. ს. რ.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი
**კურორტების მთავ. სამმართველო**

(ტფილისი, საპიორის ქ. № 30, ტელ. 10—19).

ცხადდება დაინტერესებულ პირების საყურადღებოთ, რომ საქართველოს კურორტებზე **თავისუფალი ოთახების განაწილება დამთავრდა** და ორდენების მიღება ოთახებზე **აბასთუმანში, წაღვერში და მაგლისში დაიწყება 15 ივნისის შემდეგ კურორტების მთავარ სამმართველოში** 12-დან 2 საათამდი. ავანსები ოთახების მისაღებათ 1—2 ჩერვონეცი შეტანილი უნდა იქნეს ორდერის მიღების დროს. კურორტების მთავარი სამმართველოს შუამდგომლობის თანახმად რკინის გზაზე ბორჯომამდე შემოღებულია განსაკუთრებული ვაგონები, რომლებიც გადის მატარებლებთან № 17 და 18 ყოველ დღე 7—10 საათზე ამ ვაგონებში უშვებენ იმათ, ვისაც აქვთ ორდერები ოთახებზე ან გადამრჩევი კომისიის მოწმობები

1—1

ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲘᲡ
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ
ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

პოეზია
მხატვრობა
ქანდაკება
ესთეტიკა
კრიტიკა

ყოველ-კვირეული სურათებიანი დამატება გაზ. „ტრიბუნასი“.
გამოვა მოკლე დროში. მასალები უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნის“ მისამართით.

ტფილისი 1920 ... ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 357 ... სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, „კრუზენშტეინის ქუჩ. № 4